საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *მიხეილ ჯინჯოლიას* შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	**18**	**20**
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**18**	**20**
წერის უნარი	**18**	**20**
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**14**	**15**
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	**14**	**15**
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**5**	**5**
პროფესიული აქტივობა	**2**	**5**
ქულათა ჯამი	**89**	**100**

ზურაბ გურასპაშვილი

თარიღი: 14.04.25

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ზურაბ გურასპაშვილი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 30 დეკემბრის №1/161 განკარგულებით (2024 წლის 31 დეკემბრის №1/163 განკარგულებით ცვლილება შევიდა 2024 წლის 30 დეკემბრის №1/161 განკარგულებაში) დაწყებულ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის

მიხეილ ჯინჯოლიას

შეფასება

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 30 დეკემბრის №1/161 განკარგულებით (2024 წლის 31 დეკემბრის №1/163 განკარგულებით ცვლილება შევიდა 2024 წლის 30 დეკემბრის №1/161 განკარგულებაში) დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევის პროცედურა.

მითითებულ კონკურსში კანდიდატად დარეგისტრირდა მიხეილ ჯინჯოლია.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34^2 მუხლით დადგენილი წესით, მოპოვებულ იქნა ინფორმაცია პროცედურაში მონაწილე კანდიდატების შესახებ, რომელიც გასაცნობად წარმომედგინა ამავე კანონის 34^1 მუხლის მე-9 პუნქტით დადგენილი წესით. მოწოდებულ ინფორმაციას გავეცანი დეტალურად.

აღნიშნულ კონკურსში მონაწილე კანდიდატების შეფასებისას ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

კანდიდატი შევაფასე ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-2 პუნქტის გათვალისწინებით, კეთილსინდისიერების კრიტერიუმის 5 (ხუთი) მახასიათებლის მიხედვით და ამავე მუხლის მე-15 პუნქტის საფუძველზე კანდიდატის კეთილსინდისიერების შესახებ შევადგინე საბოლოო დასკვნა.

კანდიდატი შევაფასე ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული კომპეტენტურობის კრიტერიუმის 7 (შვიდი) მახასიათებლის მიხედვით, თითოეული მახასიათებლისათვის ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-17 პუნქტით განსაზღვრული ქულების მინიჭების და ოითოეული ამ ქულის დასაბუთების გზით.

ინფორმაცია კანდიდატის შესახებ

ასაკი: **37 წელი (დაბადების თარიღი: 24 აპრილი, 1987 წელი)**
განათლება: **უმაღლესი იურიდიული, მაგისტრი (კავკასიის უნივერსიტეტი, 2014 წელი)**
ნასამართლობა: **არა**
სპეციალობით მუშაობის გამოცდილება: **14 წელი**
მოსამართლედ მუშაობის გამოცდილება: **4 წელი და 4 თვე**
მოსამართლის თანამდებობაზე განწესების თარიღი: **2020 წლის 01 დეკემბერი**
სამუშაო ადგილი: **თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით

კეთილსინდისიერების კრიტერიუმებით კანდიდატ მიხეილ ჯინჯოლიას შეფასებისას გავითვალისწინე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი მახასიათებლები:

ა) პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;
ბ) დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;
გ) პიროვნული და პროფესიული ქცევა;
დ) პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია;
ე) ფინანსური ვალდებულება

პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება პირის, როგორც მოსამართლისა და მოქალაქის პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი ან სხვა მოვალეობების, ფინანსური ან სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის,

საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა, ხოლო სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას – აგრეთვე სიმართლისმოყვარეობა.

კანდიდატზე მოძიებული მასალების გაცნობის შედეგად შემიძლია დავასკვნა, რომ მიხეილ ჯინჯოლია ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებს ფინანსურ თუ სხვა სახის სამოქალაქო ვალდებულებებს, კერძოდ, კანდიდატს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება, აქვს მიმდინარე სესხი, დადებითი საკრედიტო ისტორია. წარმოდგენილი ინფორმაციით არ იკვეთება კანდიდატის მიერ სხვა შეუსრულებელი ვალდებულების არსებობის ფაქტი. დეკლარაციის შევსებისას კანონის მოთხოვნის დარღვევის ფაქტი გამოვლენილი არ არის.

კანდიდატის დახასიათების მიზნით წარმოდგენილ რეკომენდაციებსა და კითხვარებში მასთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები მიხეილ ჯინჯოლიას ჰუმანურ, კეთილსინდისიერ, პატიოსან, გაწონასწორებულ და შრომისმოყვარე პიროვნებად ახასიათებენ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიმაჩნია, რომ კანდიდატი მიხეილ ჯინჯოლია სრულად აკმაყოფილებს პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის მახასიათებელს.

<u>დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა</u>

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი და ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმტკიცე, შეუვალობა და სხვა, ხოლო სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას – აგრეთვე პოლიტიკური ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობა, სამართლიანობა.

გასაუბრების პროცესიდან ჩანს, რომ კანდიდატი დამოუკიდებელია სამოსამართლო ვალდებულებების შესრულებისას, დამოუკიდებელია საზოგადოებრივი და პოლიტიკური გავლენებისგან, აგრეთვე თავისუფალია ყოველგვარი მიკერძოებისგან და დისკრიმინაციისგან. სამოსამართლო ფუნქციებს ასრულებს ჯეროვნად. კანდიდატი არ ყოფილა რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი, მხარდამჭერი ანდა შემომწირველი.

რეკომენდატორები აღნიშნავენ, რომ კანდიდატი არის თავდაჯერებული, აქვს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი, მისთვის კანონიერებასთან

ერთად მნიშვნელოვანია სამართლიანობაც, არის მიუკერძოებელი და არ ექცევა სხვისი გავლენის ქვეშ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიმაჩნია, რომ კანდიდატი მიხეილ ჯინჯოლია სრულად აკმაყოფილებს დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობის და სამართლიანობის მახასიათებელს.

<u>პიროვნული და პროფესიული ქცევა</u>

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი კორექტულობა კოლეგებსა და სხვა პირებთან ურთიერთობისას, თავდაჭერილობა, საკუთარი ემოციების მართვის უნარი, სასამართლოში წარმართული დავები, რომლებშიც იგი მონაწილეობდა, როგორც მხარე, მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი ბრალდების არსებობა და სხვა, ხოლო სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას – აგრეთვე მის მიერ სამოსამართლო ეთიკის დაცვა, მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევა და იმიჯი, ქცევა მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების მიმდინარეობისას.

გასაუბრების პროცესში მიხეილ ჯინჯოლია გაწონასწორებული, თავდაჭერილი, ზრდილობიანია. მას კარგად აქვს გაცნობიერებული მოსამართლის როლი და პასუხისმგებლობა. რეკომენდატორები აღნიშნავენ, რომ კანდიდატი დაკისრებულ სამუშაოს ასრულებს ხარისხიანად, არის თავმდაბალი, გულწრფელი, შრომისმოყვარე, გამოირჩევა სიდინჯით და ტაქტით.

კანდიდატის თაობაზე მოძიებული მასალებით დგინდება, რომ მიხეილ ჯინჯოლიას მიმართ დისციპლინური ან სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაწყებულა. კანდიდატი სასამართლოში მხარედ/დაზარალებულად წარმოდგენილი არ ყოფილა. მას საანგარიშო პერიოდში, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის რამდენჯერმე უფიქსირდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტი, რომლებზეც დადგენილი ადმინისტრაციული ჯარიმები სრულად და დროულად აქვს დაფარული.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიმაჩნია, რომ კანდიდატი მიხეილ ჯინჯოლია სრულად აკმაყოფილებს პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებელს.

პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია

„საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი და ხარისხი და სხვა.

არსებული ინფორმაციით კანდიდატი სარგებლობს დადებითი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციით, როგორც კოლეგებში ისე იურიდიულ წრეებში. რეკომენდატორებიც აღნიშნავენ, რომ კანდიდატი პიროვნული უნარ-ჩვევებით, ქცევით და ოვისებებით იურიდიულ საზოგადოებაში და კოლეგებთან სარგებლობს კარგი რეპუტაციით.

კანდიდატის შესახებ მოპოვებული ინფორმაციის ფარგლებში რაიმე სახის ნეგატიური ინფორმაცია მისი პიროვნული თუ პროფესიული რეპუტაციის შესახებ არ გამოვლენილა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ კანდიდატი მიხეილ ჯინჯოლია სრულად აკმაყოფილებს პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებელს.

ფინანსური ვალდებულება

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება ინფორმაცია მისი შემოსავლის წყაროს, აქტივების, საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული ქონების და ამ ქონებისა და შემოსავლის შესაბამისი ვალისა და ვალდებულების შესახებ.

კანდიდატზე მოძიებული ინფორმაციის გაცნობიდან ირკვევა, რომ თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში ასახულია მონაცემები კანდიდატის საკუთრებაში არსებული მოძრავი/უძრავი ქონების შესახებ, ასევე საბანკო დაწესებულებაში არსებული ანგარიშისა და შენატანების თაობაზე. უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია არის შესაბამისობაში ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან.

კანდიდატს აქვს მიმდინარე სესხი, დადებითი საკრედიტო ისტორია. არ ერიცხება დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ.

შესაბამისად, ფინანსური ვალდებულებების შემოწმებისას არ გამოვლინდა ის შესაძლო საფრთხეები, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კანდიდატის მიუკერძოებლობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ კანდიდატი მიხეილ ჯინჯოლია სრულად აკმაყოფილებს ფინანსური ვალდებულებების მახასიათებელს.

დასკვნა

კანდიდატის კეთილსინდისიერების შესახებ

კანდიდატი კეთილსინდისიერების კრიტერიუმის ***ხუთივე*** *მახასიათებლით შემოწმებისას შევაფასე* ***სრულად დადებითად****, ამდენად მიმაჩნია, რომ კანდიდატი* ***მიხეილ ჯინჯოლია სრულად აკმაყოფილებს*** *კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.*

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კომპეტენტურობის კრიტერიუმით კანდიდატ მიხეილ ჯინჯოლიას შეფასებისას გავითვალისწინე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი მახასიათებლები:

ა) სამართლის ნორმების ცოდნა;
ბ) სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;
გ) წერის უნარი;
დ) ზეპირი კომუნიკაციის უნარი;
ე) პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში;
ვ) აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;
ზ) პროფესიული აქტივობა.

სამართლის ნორმების ცოდნა

„საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, სამართლის ნორმების ცოდნის მახასიათებლით პირის შეფასებისას გაითვალისწინება მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობების, ადამიანის უფლებების სამართლის (მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის) მის მიერ ცოდნის დონე.

კანდიდატმა წარმოადგინა მის მიერ განხილული სისხლის სამართლის საქმეებზე მიღებული განაჩენები, კერძოდ: თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 8 მაისის №1/5796-22 განაჩენი; თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 15 ივნისის №1/6857-22 განაჩენი; თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 20 ოქტომბრის №1/996-23 განაჩენი.

კანდიდატის მიერ განხილულ საქმეებზე წარმოდგენილი გადაწყვეტილებების გაცნობის შემდეგ შემიძლია დავასკვნა, რომ სამართლის ნორმები სწორად არის გამოყენებული და განმარტებული.

საჯარო მოსმენისას კანდიდატს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ დაესვა არაერთი კითხვა სამართლის სხვადასხვა მიმართულებით, კანდიდატის მიერ გაცემული პასუხები ძირითადად იყო თანმიმდევრული და არგუმენტირებული.

კანდიდატი კარგად იცნობს სისხლის სამართლის მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებას, ადამიანის უფლებათა სამართალს. ეცნობა უზენაესი სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ სამართლის ნორმების ცოდნის მახასიათებლით კანდიდატი მიხეილ ჯინჯოლია უნდა შეფასდეს **18** ქულით.

სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებლით პირის შეფასებისას გაითვალისწინება მისი ანალიტიკური აზროვნების უნარი და პროფესიული გამოცდილება, ხოლო სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას - აგრეთვე, მის მიერ განხილულ საქმეებზე გამოტანილი გადაწყვეტილებების დასაბუთებულობა და დამაჯერებლობა.

საჯარო მოსმენის დროს კანდიდატი აზრს ავითარებდა გამართულად და მისი მსჯელობა იყო დამაჯერებელი. კანდიდატს გააჩნია სამართლებრივი პრობლემის გადაწყვეტისა და დასაბუთების უნარი.

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებების გაცნობის შედეგად შემიძლია დავასკვნა, რომ ისინი დასაბუთებული და დამაჯერებელია, სწორად განმარტავს სამართლის ნორმას და იყენებს როგორც ეროვნული, ისე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას.

კანდიდატს აქვს მოსამართლედ მუშაობის ოთხწლიანი გამოცდილება. იგი სამოსამართლო საქმიანობას ახორციელებს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებლით კანდიდატი მიხეილ ჯინჯოლია უნდა შეფასდეს **18** ქულით.

წერის უნარი

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-11 პუნქტის თანახმად, წერის უნარის მახასიათებლით პირის შეფასებისას გაითვალისწინება მის მიერ წერილობით აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი.

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებების გაცნობის შედეგად შემიძლია დავასკვნა, რომ მის მიერ საპროცესო დოკუმენტები გასაგები ენით არის დაწერილი და ადვილად იკითხება. თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში არ აქვს დაცული სასვენი ნიშნების გამოყენების წესი.

მოსამართლის მსჯელობა გამართული და დასაბუთებულია. იგი აანალიზებს მტკიცებულებებს მატერიალური/საპროცესო სამართლის ნორმებზე დაყრდნობით და იყენებს მათ დასკვნების გასაკეთებლად.

რეკომენდატორების მითითებით კანდიდატს შესწევს უნარი წერილობითი დოკუმენტი შინაარსობრივად სწორად და ლაკონიურად ჩამოაყალიბოს. ყურადღებას ამახვილებს მხოლოდ მნიშვნელოვანზე, გადაწყვეტილებებში ზედმიწევნით, პოპულარული ენით, შინაარსობრივად სწორად აყალიბებს და აანალიზებს მტკიცებულებებს და სამართლებრივად აფასებს მათ.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ წერის უნარის მახასიათებლით კანდიდატი მიხეილ ჯინჯოლია უნდა შეფასდეს **18** ქულით.

ზეპირი კომუნიკაციის უნარი

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-11 პუნქტის თანახმად, ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებლით პირის შეფასებისას გაითვალისწინება მისი გამართულად მეტყველების უნარი, სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი, ღიაობა, განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობა და სხვა.

კანდიდატს ზეპირი კომუნიკაციისას ახასიათებს დინჯი, მშვიდი და გამართული საუბარი. იგი არ იყენებს დამამცირებელ სიტყვებსა და გამოთქმებს, დისკრიმინაციულ ტერმინოლოგიას, ასევე ჟარგონსა და სლენგს.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებლით კანდიდატი მიხეილ ჯინჯოლია უნდა შეფასდეს **14** ქულით.

პროფესიული თვისებები, მათ შორის, სასამართლო დარბაზში ქცევა

„საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-12 პუნქტის თანახმად, პროფესიული თვისებების (მათ შორის, სასამართლო დარბაზში ქცევის) მახასიათებლით სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პუნქტუალურობა, საქმის ჯეროვნად და პასუხისმგებლობით მომზადება, ქცევა სასამართლო დარბაზში და სასამართლო სხდომის სათანადოდ წარმართვის უნარი, ქცევა მხარეებთან ურთიერთობისას, გულმოდგინება და შრომისმოყვარეობა, გადაწყვეტილების დაუხმარებლად მიღებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი, მიზანდასახულობა, პროდუქტიულობა და სისწრაფე, საპროცესო ვადების დაცვა,მენეჯერული უნარ-ჩვევები და სხვა.

კანდიდატი მიხეილ ჯინჯოლია სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას არის შრომისმოყვარე, პასუხისმგებლიანი, დისციპლინირებული. მის მიერ განხილული საქმეები მომზადებულია ჯეროვნად.

რეკომენდატორები უთითებენ, რომ კანდიდატი არის შრომისმოყვარე, პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობის მქონე, კვალიფიციური, მიუკერძოებელი და სამართლიანი, ამასთან გაცნობიერებული აქვს ის პასუხისმგებლობა და ტვირთი რაც დაკავშირებულია სასამართლო სისტემაში საქმიანობასთან.

სასამართლოდან მიღებული და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის მიერ დამუშავებული სტატისტიკური მონაცემებიდან ირკვევა, რომ მიხეილ ჯინჯოლიას საანგარიშო პერიოდში საპროცესო ვადის დაცვით მომზადებული აქვს საქმეთა - 100%; ამავე პერიოდში, გადაწყვეტილებათა 100% მომზადდა ვადის დაცვით; გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა სტაბილურობის კუთხით, გადაწყვეტილება უცვლელი დარჩა გასაჩივრებულ საქმეთა - 96,3%, ხოლო შეიცვალა 3,7%. საანგარიშო პერიოდში (990 დღე) მოსამართლეს დასრულებული აქვს 5203 საქმე.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ პროფესიული თვისებების, მათ შორის, სასამართლო დარბაზში ქცევის მახასიათებლით კანდიდატი მიხეილ ჯინჯოლია უნდა შეფასდეს **14** ქულით.

აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-13 პუნქტის თანახმად, აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის მახასიათებლით პირის შეფასებისას გაითვალისწინება სიახლეების მიმართ მისი

ღიაობა, თვითგანვითარების უნარი, საოფისე კულტურა, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, პროფესიული წვრთნის პროგრამებში მონაწილეობა, შეძენილი ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება და სხვა.

მიხეილ ჯინჯოლიას ჩაბარებული აქვს ადვოკატის საკვალიფიკაციო გამოცდა, ასევე მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით. კანდიდატი იყო იუსტიციის უმაღლესი სკოლის მე-14 ჯგუფის მსმენელი. ჯგუფში დაიკავა მე-13 ადგილი.

კანდიდატს მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ სემინარსა და სამუშაო შეხვედრაში: 2022 წლის 4-5 ივნისი, ბაკურიანი, ევროპის საბჭოს (CoE) საპილოტე სემინარი - „სქესობრივი დანაშაული"; 2022 წლის 23-24 ივლისი, კომპლექსი ლოპოტა, ევროპის საბჭოს ოფისის (CoE) და გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN WOMEN) მიერ ერთობლივად ორგანიზებულ სემინარი - „ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა"; 2022 წლის 29-30 ოქტომბერი, კომპლექსი ლოპოტა, ევროპის საბჭოს ოფისის (CoE) სემინარი - „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები და მნიშვნელოვანი განმარტებები ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე"; 2023 წლის 15-17 მარტი, წინანდალი, სისხლის სამართლის პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებული; 2023 წლის 7-9 აპრილი - დანაშაულისა და ძალადობის მოწმე ბავშვები - EU; 2023 წლის 1 და 2 ივლისი, კახეთი (სასტუმრო „ლოპოტას ტბა"), იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ ევროპის საბჭოს ოფისისა (CoE) და გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN WOMEN) მხარდაჭერით დაგეგმილი ტრენინგი - „სქესობრივი დანაშაული"; 2023 წლის 20-22 ოქტომბერი, ლიკანი, გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით გამართული სამუშაო შეხვედრა - „სამოსამართლო ეთიკა"; 2023 წლის 6-8 დეკემბერი, წინანდალი, სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით გამართული სამუშაო შეხვედრა; 2024 წლის 8 ივნისი, თბილისი, იუსტიციის უმაღლესი სკოლის ტრენინგი - „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები (პრეცენდენტები)" და სხვა.

წარმოდგენილი ინფორმაციისა და კანდიდატთან გასაუბრების პროცესზე დაკვირვებით ჩანს, რომ ის არის შრომისმოყვარე და ღია სიახლეების მიმართ, გამოირჩევა ცოდნის გაღრმავების და პროფესიული უნარ-ჩვევების შეძენის ინტერესით.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის მახასიათებლით კანდიდატი მიხეილ ჯინჯოლია უნდა შეფასდეს **5** ქულით.

პროფესიული აქტივობა

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-14 პუნქტის თანახმად, პროფესიული აქტივობის მახასიათებლით პირის შეფასებისას გაითვალისწინება მის მიერ ინიციატივის გამოჩენის უნარი, იდეებისა და წინადადებების წამოყენება, მისი სამეცნიერო და სხვა პუბლიკაციები, იურიდიული პროფესიისა და საზოგადოების წინაშე მისი დამსახურება და სხვა, ხოლო სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას - აგრეთვე სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში მისი მონაწილეობა, საკუთარი პოზიციისა და შეხედულებების ღიად და თავისუფლად გამოხატვა.

კანდიდატს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ არაერთ ღონისძიებაში აქვს მონაწილეობა მიღებული, შეუძლია ინიციატივების და წინადადებების წამოყენება.

კანდიდატი საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის 2024 წლის 24 მარტის დადგენილებით არჩეულ იქნა საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის მოსამართლე წევრად.

კანდიდატის პედაგოგიური, სამეცნიერო ან სხვა სახის პროფესიული აქტივობის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი არ არის.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ პროფესიული აქტივობის მახასიათებლით კანდიდატი მიხეილ ჯინჯოლია უნდა შეფასდეს **2** ქულით.

დასკვნა
კანდიდატის კომპეტენტურობის შესახებ

კანდიდატ მიხეილ ჯინჯოლიას თითოეულ მახასიათებელში მიღებული შეფასებებიდან გამომდინარე მისთვის მინიჭებულმა ქულათა ჯამმა შეადგინა *89 ქულა.*

- სამართლის ნორმების ცოდნა 18 ქულა.
- სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია 18 ქულა.
- წერის უნარი 18 ქულა.
- ზეპირი კომუნიკაციის უნარი 14 ქულა.
- პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში 14 ქულა.
- აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა 5 ქულა.
- პროფესიული აქტივობა 2 ქულა.

ზურაბ გურასპაშვილი

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

თარიღი: 14.04.25